

არემაზი

სიასლუაბი

რიჩ მეტალს გრუპი

N 19 | დეკემბერი | 2015

**კომპანია „არემაზი“ ბილოცავთ დადგება
შობა-ახალ წელს! ბისურვებით, 2016 წელი
ყოფილიყო სიკეთის, სიხარულის,
ბედნიერების, სპაჰისა და ბარაქის მომთანი
თითოეული თქვენგანის ოჯახისა და
მთლიანად საქართველოსთვის!**



**აბულმუგის
ეკლესიის
რესტავრაცია
დასრულებულია**

18 დეკემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა პაატა ხიზანიშვილმა და დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგიტა ბარბაქაძემ, კომპანია „არემზის“ წარმომადგენლებთან ერთად აბულმუგის ტაძრის მოინახულეს, რომელსაც „არემზის“ ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით სრული რესტავრაცია ჩაუტარდა.

ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც საინჟინრო-გამაგრებით სამუშაოებსა და ტაძრის

მხატვრული სახის აღდგენას მოიცავდა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა.

რესტავრირებული ტაძარი დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის წარმომადგენლებმაც მოინახულეს. აღსანიშნავია, რომ დღეიდან, წლების შემდეგ, რეაბილიტირებულ ტაძარში შესაძლებელი იქნება წირვა-ლოცვის ჩატარება.

მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „აბულმუგის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები მის კონსტრუქციულ გამაგრებას და პირვანდელი სახის დაბრუნებას მოიცავდა. უმაღლესი ხარისხით

არის სამუშაოები ჩატარებული იმ პროექტის მიხედვით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ არის მომზადებული. სარეაბილიტაციო სამუშაოები ფინანსურად სრულად უზრუნველყო კომპანია „არემზიმ“ და ვფიქრობ, რომ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო და კერძო სექტორმა.

ნიკოლოზ ანთიძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი: „ეს მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელსაც აქვს ასომთავრული წარწერები, გამოსახულია ბოლნური ჯვარი. აბულმუგის ტაძარი დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა დეგრადირებას, ამიტომ



ჩვენ მოვამზადეთ არქიტექტურული რესტავრაციის პროექტი, ვთხოვეთ „არემჯის“ მისი დაფინანსება და კომპანიამ გამოყო სარეაბილიტაციო თანხები.“


გოგიტა ბარბაქაძე, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი:
„მადლობა მინდა გადავუხადო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და კომპანია

„არემჯის“, რომლის დაფინანსებითაც მოხდა ეკლესიის აღდგენა.

ნიკოლოზ კარიჭაშვილი, კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი: „ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ კეთილი საქმის კეთებას. ერთიანი

ძალისხმევით, კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ჩვენი კომპანიის „რიჩ მეტალ გრუპის“ დაფინანსებით მოხდა ეკლესიის აღდგენა. დღეიდან ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს შეეძლება ილოცოს ამ ტაძარში.“

ახალი მუზეუმი ბოლნისში



11 დეკემბერს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ბოლნისის ახალი მუზეუმის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის დაპროექტებას და სამშენებლო სამუშაოებს ფინანსურად სრულად უზრუნველყოფს კომპანია „არემჯი“. ბოლნისის ახალი მუზეუმის შენობის პროექტი კონკურსში გამარჯვებული კომპანიის - „არქიტექტორები.ჯის“ არქიტექტორმა გააგა კიკნაძემ წარმოადგინა.

ბოლნისის ახალი სამუზეუმო-საგანმანათლებლო სივრცის პროექტირებაზე კონკურსი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2015 წლის აგვისტოში გამოაცხადა. „ბოლნისის ახალი სამუზეუმო-საგანმანათლებლო სივრცის პროექტირებაზე გამოცხადებულ კონკურსში პროექტების განმხილველი კომისიის“ შეფასების შედეგად გაიმარჯვა კომპანიამ „არქიტექტორები.ჯი“.

მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები 2016 წელს დაიწყება.

თანამედროვე სტანდარტის ბოლნისის მუზეუმი იქნება საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და

საგანმანათლებლო ცენტრი საინტერესო კოლექციებით. მუდმივმოქმედი გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ბოლნისისა და ქვემო ქართლის რეგიონის მდიდარი ბუნება და კულტურული მემკვიდრეობა. დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს დმანისის ჰომინიდები, უძველესი მინათმოქმედების ძეგლები და მეტალურგია, საყდრისი-ყაჩალიანზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები, რეგიონის ქრისტიანული ძეგლები, ქართული დამწერლობის პირველი ნიმუში, გერმანელ მიგრანტთა (ე.წ. კოლონისტები) დასახლება ბოლნისში და ა.შ.

ბოლნისის მუზეუმს ასევე ექნება ფონდსაცავი, სადაც დაცული იქნება რეგიონში მოპოვებული მდიდარი კოლექცია;

ამასთანავე, მუზეუმში მოეწყობა დროებითი გამოფენები და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება. დაგეგმილია მულტიფუნქციური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, მუზეუმში იმუშავენ ბიბლიოთეკა/მედიათეკა და საკონფერენციო დარბაზი.

„არემჯი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასახმარებლად

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, ქალაქ მარნეულის სპორტულმა კომპლექსმა პარა-კალათბურთის მატჩს და შშმ პირებისათვის გამართულ სხვა სპორტულ ღონისძიებებს უმასპინძლა.

აღნიშნული ღონისძიება კომპანია „არემჯის“ ფინანსური მხარდამჭერითა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა და მასში სხვადასხვა ასაკის შშმ პირები იღებდნენ მონაწილეობას.

ამხანაგური მატჩი გაიმართა პარა-კალათბურთელებსა და მარნეულის საკალათბურთო გუნდს შორის. მარნეულელი სპორტსმენები სპორტულ ეტლებში ჩასხდნენ და თანაბარი შესაძლებლობებით შეეჭიბრნენ პარა-კალათბურთელებს.

მიმდინარე თამაშის პარალელურად სპორტულ კომპლექსში დღის განმავლობაში სხვადასხვა შეჯიბრი გაიმართა. მათ შორის: მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ნარდის შეჯიბრი და სხვა.

ნიკა კარიჭაშვილი (კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან



ურთიერთობის სამსახურის უფროსი:

„მინდა ეს დღე მივულოცო ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს. ჩვენი კომპანიის სახელით მსურს გამოვხატო მხარდაჭერა და თანადგომა. ამ კეთილი საქმის ორგანიზატორებს მომავალშიც დიდი სიამოვნებით დავუდგებით გვერდში, რათა მოხდეს შშმ პირთა მაქსიმალური ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“
ირაკლი გიორგაძე (შშმ პირთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი):

„დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ჩატარდა შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მე ვუერთდები პარა-კალათბურთელების გუნდს და მათთან ერთად გავმართავ მატჩს მარნეულის საკალათბურთო გუნდის წინააღმდეგ. დღევანდელი მატჩის სპონსორობისათვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კომპანია „არემჯის“, რომელიც პირველივე თხოვნაზე გამოგვეხმაურა და დაგვიდგა გვერდში.“

გიორგი თახნიაშვილი (პარა-კალათბურთელი):

„დღეს ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა. ვარ პარა-კალათბურთელი და ძალიან მიხარია, რომ მეძლევა შესაძლებლობა დაკავებული ვიყო ამ სპორტით. დიდი სურვილი მაქვს, რომ მსგავსი სპორტული შეჯიბრებები ხშირად იმართებოდეს საქართველოში.“

ღონისძიების ბოლოს სხვადასხვა შეჯიბრში გამარჯვებულ შშმ პირებს საჩუქრები და სამახსოვრო მედლები გადაეცათ.



„არემჯიმ“ დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლა შეშით მოამარაბა



24 დეკემბერს, კომპანია „არემჯის“ საზოგადოებათან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები კაზრეთის №2 საჯარო სკოლას ესტუმრნენ და ზამთრის მარაგი შეშა მიუტანეს. სკოლის დირექტორის, დინარა პირველის თხოვნის საფუძველზე, კომპანიის წარმომადგენლებმა ოპერატიულად უზრუნველყვეს სასწავლო დაწესებულების შეშით მომარაგება, რადგან სკოლის ბიუჯეტით შეძენილი შეშა მოსწავლეების გამოსაზამთრებლად საკმარისი არ იყო.

დინარა პირველი, კაზრეთის № 2 საჯარო სკოლის დირექტორი:

„ჩვენი ბიუჯეტით 15 კუბური მეტრი შეშა შევიძინეთ, მაგრამ რადგანაც სკოლას დაემატა ორი მზაობის ჯგუფი, ამიტომ საჭირო გახდა შეშის მომარაგება. კომპანიას მივმართეთ თხოვნით და „არემჯის“ წარმომადგენლებმა ოპერატიულად გაგვიწიეს დახმარება, რომ გრძელი და ცივი ზამთრის აღარ შეგვეშინდეს. იმდენი მოგვიტანეს, რომ მომავალი წლისთვისაც კი საკმარისი იქნება. კომპანიამ არაერთხელ გაგვიწია თანადგომა და დახმარება. იმედი მაქვს, კვლავ გავაგრძელებთ ურთიერთთანამშრომლობას. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო

კომპანია „არემჯის“ განუღი ქვედმოქმედებისათვის“. **ნიკოლოზ კარიჭაშვილი, კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** „გათბობასთან დაკავშირებით კომპანიას თხოვნით მოგვმართეს სკოლის წარმომადგენლებმა. „არემჯიმ“ აუქციონზე შეიძინა შეშა და გადავცით №2 საჯარო სკოლას. დარწმუნებულები ვართ, რომ მოსწავლეები ცივ ზამთარს სითბოში გაატარებენ. ყველა კაზრეთელს, ყველა ბავშვსა და ყველა მშობელს მინდა მივუღოცო დამდეგი შობა-ახალი წელი!“

„არემჯის“ საახალწლო საჩუქარი

24 დეკემბერს „არემჯის“ წარმომადგენლები კაზრეთის გამგებლის წარმომადგენელს ესტუმრნენ და საჩუქრად გადასცეს საახალწლო აქსესუარები, რომლითაც დაბის ცენტრში ნაძვის ხე მოიერთო. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიას თხოვნით გამგებლის წარმომადგენელმა დაბა კაზრეთში, ვერა გიორგაძემ მიმართა.

ვერა გიორგაძე, გამგებლის წარმომადგენელი დაბა კაზრეთში: „სათამაშოების სიმწირის გამო გადავწყვიტე მიმემართა კომპანიისთვის, რომ დაგვხმარებოდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა, მათ ჩვენი თხოვნა შეასრულეს და საახალწლო აქსესუარები მოგვიტანეს. დიდ მადლობას ვუხდით „არემჯის“ განუღი დახმარებისთვის და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა.“

ნიკოლოზ კარიჭაშვილი, კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი: „გამოვეხმარეთ ქალბატონ ვერას თხოვნას და კომპანიის სახელით მივუტანეთ ის აქსესუარები, რითაც მოიერთო კაზრეთის ნაძვის ხე.



მინდა ყველა კაზრეთელსა და რეგიონის ყველა მაცხოვრებელს წინასწარ მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ვუსურვო სიხარული, წინსვლა და ბედნიერება!“